1. <u>სისტემაში შესვლა - wasteless.ge</u>





2. <u>ყოველთვიური ანგარიშგების ფორმის შევსება :</u>

ირჩევთ ყოველთვიური ანგარიშგების ფორმას, შემდეგ ინვოისის დამატებას (მარჯვენა ზედა კუთხეში) .



შეგყავთ ინფორმაცია თვის ჭრილში იმპორტირებული საქონლის შესახებ. ავსებთ სავალდებულო ველებს: **საანგარიშგებო წელი, საანგარიშგებო თვე და ირჩევთ მოდულს.** შენახვის ღილაკით ინახავთ ინფორმაციას.
20001046749



სასაქონლო კოდის ქვემოთ ირჩევთ ღილაკს **''დაამატე ახალი''** შეგყავთ იმპორტირებული საქონლის კოდი ხელით შემდეგი წესით: პირველი 4 ციფრი - გამოტოვება (სფეისი) - მომდევნო 2 ციფრი. მაგ: (1234 56)

!!! თუ სიაში სასაქონლო კოდი არ იძებნება და აღნიშნულ პროდუქტს ტექნიკური რეგლამენტის თანახმად ეკუთვნის რეციკლირების გადასახადი, სიიდან ირჩევთ **„სხვა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები“,** კომენტარის გრაფაში წერთ იმპორტის დეკლარაციაში მითითებულ საქონლის დასახელებას და კოდს.



ავსებთ სავალდებულო ველებს: **სასაქონლო კოდი, იმპორტირებული საქონლის წონა და ექსპორტის საქონლის წონა** (ექსპორტის არ არსებობის შემთხვევაში ექსპორტის რაოდენობაში წერთ ნულს). (იხილეთ ქვემოთ)



ყოველ ახალ კოდზე ირჩევთ დამატების ღილაკს და ანალოგიურად შეგყავთ მონაცემები.

!!! ინფორმაცია იმპორტირებული საქონლის შესახებ შეგიძლიათ ავტვირთოთ ექსელის ფორმატით. ჩამოტვირთეთ ექსელის დრაფტი (იხ.ზედა მარცხენა კუთხეში), სიიდან აირჩიეთ მხოლოდ თქვენს მიერ იმპორტირებული საქონლის კოდები და შეავსეთ იმპორტირებული საქონლის ნეტო წონა. ექსელით შეძლებთ მხოლოდ იმ სასაქონლო კოდების დამატებას რაც მზა ექსელის ფორმაშია. თუ სიაში სასაქონლო კოდი არ იძებნება და აღნიშნულ პროდუქტს ტექნიკური რეგლამენტის თანახმად ეკუთვნის რეციკლირების გადასახადი, სიიდან ირჩევთ „**სხვა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები“** და კომენტარის გრაფაში წერთ იმპორტის დეკლარაციაში მითითებულ საქონლის დასახელებას და კოდს.

საქონლის ექსპორტზე გატანის შემთხვევაში ექსპორტის გრაფაში ავსებთ სასაქონლო კოდს და შესაბამის წონას. არ დაგავიწყდეთ ექსპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა (ექსპორტის საბაჟო დეკლარაცია), წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ანგარიშგება ვერ დამუშავდება. ანგარიშგების დამუშავება საჭიროებს 5 სამუშაო დღეს. დამუშავების და დადასტურების შემდეგ შეძლებთ ინვოისის მიღებას თქვენს გვერდზე ან დაკორექტირდება შესაბამისი ანგარიშ ფაქტურა.

ნულოვანი ფორმის წარდგენის შემთხვევაში, სასაქონლო კოდების ჩამონათვალში ირჩევთ **„იმპორტი არ განხორციელებულა“** , იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის წონაში წერთ 0 . **<u>(ნულოვანი ფორმის წარდგენა სავალდებულოა)</u>**

ინფორმაციის სრულყოფილად შევსების შემდეგ ‘’**ცვლილებების შენახვა**’’ ღილაკის გამოყენებით ინახავთ შეყვანილ ინფორმაციას, რომლის დაკორექტირება (ინფორმაციის დამატება/წაშლა, საანგარიშო წლის და თვის შეცვლა) შესაძლებელია გადაგზავნამდე **რედაქტირების** ღილაკის გამოყენებით.

გადაგზავნილი ინვოისის ჩამოტვირთვას შეძლებთ ‘’ყოველთვიური ანგარიშგების ფორმა’’-ში ,,ინვოისი’’- ღილაკზე დაჭერით.